ხელშეკრულება 1/18-987 (01-47¹-18)

ქ. თბილისი 06.08.2018

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი", წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსის ზურაბ გვენცაძის სახით (ბრძანება №01953. 30/09/2015), (შემდგომში წოდებული როგორც "შემსრულებელი") და მეორეს მხრივ, "შპს პერსპექტივა", მისი ხელმძღვანელის ნიკოლოზი ხარებავას სახით (შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი"), საქართველოში მოქმედი კანონების და საწარმოს დებულების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს სითხის შემცველი საკვები პროდუქტების შეტანა-განადგურების მომსახურებას ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში "მომსახურება").

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 40 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება. (cpv – 9090000)

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 შემსრულებელს უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 დამკვეთი ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 დამკვეთს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 1 ტონა პროდუქციის განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 116.58 ლარს დღგ-ს ჩათვლით. თუ დადგინდება, რომ გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, დამკვეთი იხდის 1 ტონის მომსახურების საფასურს.

4.3. დამკვეთი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.

4.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რაც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

6.1 დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან

საბანკო რეკვიზიტები:

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფი"	**„შპს პერსპექტივა"**
მის: ქ. თბილისი, კახეთის	მის: ალ. ყაზბეგის 42
გზატკეცილი №67	ს/კ: 404924276
საიდ. კოდი: 206267494	
ს.ს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური	
ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22	
ა.ა. № GE90LB0113172770216000	

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი"	„შპს პერსპექტივა"
საყოფაცხოვრებო ნარჩენების	
მართვის სამსახურის	ხელმძღვანელი
უფროსი ზ.გვენცაძე	ნიკოლოზი ხარებავა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"
ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო
ნარჩენების მართვის სამსახური

შპს "პერსპექტივა"
404 924 276